საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

12 მარტი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №63/17

-- --, -- -- და -- -- 2017 წლის 17 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 28 თებერვლის №63/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორებმა აღნიშნეს, რომ 2017 წლის 15 მარტს, -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გაიმართა პირველი სასამართლო სხდომა, -- -- და -- -- სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით. სხდომას იხილავდა შემდეგი შემადგენლობა: მომხსენებელი მოსამართლე -- --, -- -- და -- --. სხდომის გახსნის შემდგომ, მოსამართლე -- -- მხარეებს მოუწოდა მორიგებისკენ. -- -- პოზიციის მოსმენის შემდგომ -- -- მათ ვრცელი მონოლოგით მიმართა. მან აგრესიული ტონით განაცხადა, რომ -- -- პოზიცია აღმაშფოთებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ესმოდეს, რომ გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულია არა „ვინმეს“, არამედ გამოცდილი მოსამართლის მიერ და პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებების 80 პროცენტი ძალაში რჩება. -- -- დაუფარავად გამოხატა თავისი აზრი საქმის შედეგის მიმართ. მან განაცხადა, რომ

ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ესმოდეს, რომ -- -- დაკისრებული -- ლარი, სააპელაციო სასამართლომ შეიძლება შეცვალოს -- ლარით, ეს კი თითოეული ჩვენგანის „ჯიბიდან ამოღებული თანხაა“. ამასთან, მოსამართლე -- -- მოუწოდა -- შეცვალოს მიდგომა შრომით დავებთან დაკავშირებით. -- -- თხოვნაზე: ,,თუ შეიძლება გიპასუხებთ“, მოსამართლემ ისევ უხეშად მიმართა ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს: ,,რას ჰქვია მიპასუხებ.“ ადმინისტრაციულ ორგანოს არ მისცა შესაძლებლობა კონსტრუქციულ ვითარებაში გამოეხატა მოსაზრება დასმულ საკითხთან დაკავშირებით და უფრო უხეში ტონით გააგრძელა მონოლოგი. მოსამართლე -- -- აშკარად მიანიშნა პროცესის მხარეებს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება -- -- საწინააღმდეგოდ იქნებოდა გამოტანილი. მოსამართლე -- -- მიერ გამოვლინდა აშკარა მიკერძოება. ასევე პროცესის მეორე მხარეს შეუქმნა მის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტის მოლოდინი. მოსამართლე -- -- მხრიდან შეურაცხმყოფელი, მხარის -- -- წარმომადგენლების მიმართ მიმართული უხეში მონოლოგი არ წარმოადგენდა მხარეთა მორიგებისკენ მიმართულ ქმედებას. მოსამართლე -- -- მიერ უგულებელყოფილ იქნა მოსამართლის მოვალეობა - სანდომიანად, თავაზიანად და ღირსებით მოპყრობოდა პროცესის ყველა მონაწილეს. მოსამართლე -- -- იცოდა, რომ სხდომის მიმდინარეობა საოქმოდ არ იწერებოდა და ამიტომ გამოხატა აგრესია და ნეგატიური დამოკიდებულება ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი წარმომადგენლების მიმართ. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, -- --, მოსამართლე -- -- აცილების მოთხოვნით, განცხადება წარადგინა სასამართლოში. მომხსენებელმა მოსამართლემ სხდომის დამთავრებისას მიმართა -- -- წარმომადგენელს შემდეგი სიტყვებით: ,,მე ვხედავ, რომ ნაწყენი და შეწუხებული ჩანხართ, მაგრამ საქმეზე მორიგება მნიშვნელოვანია“. -- -- მომხსენებელ მოსამართლეს განუცხადა, რომ მისი მიზანი იყო სასამართლოსათვის აეხსნა, თუ რა მოტივით გასაჩივრდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, ამასთან აცნობა, რომ -- -- 2016 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილებების - მხოლოდ 13% გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს შესწავლილ იქნეს მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მოსამართლის მიერ დისციპლინურ გადაცდომას ადასტურებს და მოსამართლე -- -- დაეკისროს ადეკვატური დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წლის 3 თებერვალს -- -- საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხის - - -- და -- -- მიმართ.

მოსარჩელემ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების, დისციპლინური სახდელის დადებისა და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ - საქართველოს გენერალური ინსპექციის 2015 წლის 3 ნოემბრის დასკვნის, -- -- თავმჯდომარის 2015 წლის 5 ნოემბრის ბრძანების და -- -- თავმჯდომარის 2015 წლის 16 ნოემბრის ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის 2015 წლის 5 ნოემბრიდან მის სამსახურში აღდგენამდე ანაზღაურება მოითხოვა.

-- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი -- -- თავმჯდომარის 2015 წლის 5 ნოემბრის ბრძანება -- -- დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი -- -- თავმჯდომარის 2015 წლის 16 ნოემბრის ბრძანება ,,-- -- დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ" -- -- 2015 წლის 5 ნოემბრის ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ; -- -- უარი ეთქვა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე; -- -- დაეკისრა -- -- კომპენსაციის სახით -- ლარის (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით - დარიცხული) გადახდა; -- -- დაეკისრა -- -- სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -- ლარის ანაზღაურება; -- -- დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ბაჟის -- ლარის გადახდა.

-- --საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით 2016 წლის 18 ნოემბერს გაასაჩივრა -- --, ხოლო 2016 წლის 22 ნოემბერს -- --.

აღნიშნული საქმის განხილვის მიზნით -- -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2017 წლის 15 მარტს დაინიშნა სხდომა, მოსამართლეების -- --, -- -- და -- -- მონაწილეობით. სწორედ, აღნიშნულ პროცესზე განხორციელდა მოსამართლეების, მათ შორის მოსამართლე -- -- მიერ მხარეთათვის მორიგების შეთავაზება.

-- -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით კომპენსაციის სახით თანხის დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; -- -- მოსარჩელე -- -- სასარგებლოდ კომპენსაციის სახით -- ლარის გადახდა დაეკისრა.

-- -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა -- -- და -- -- მიერ.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოსამართლის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს ეთიკის წესების დარღვევა.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ. ამასთან, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ

განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები. ამდენად, მხარეთა შორის მორიგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარე სასარჩელო განცხადებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას ან ამცირებს ან კიდევ სხვა მოთხოვნით ცვლის, რასაც ეთანხმება მოპასუხეც. სხვანაირად რომ ვთქვათ, მხარეთა შორის მორიგება ვერ მიიღწევა, თუ მოსარჩელე და მოპასუხეც დათმობაზე არ წავლენ ერთმანეთის მიმართ.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ 2017 წლის 15 მარტის სასამართლო სხდომის დეტალური გაანალიზება შესაძლებელი გახდა აღნიშნული სხდომის ვიდეო ჩანაწერის საშუალებით, რომელშიც ზედმიწევნით კარგად ისმის მთელი პროცესის მიმდინარეობა.

-- -- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ გამართულ 2017 წლის 15 მარტის სხდომაზე, მოსამართლე -- -- მხარეთათვის მიმართვის მიზანი იყო დავის მორიგებით დასრულება. იგი მხარეებს უმარტავდა მორიგების შედეგებს და ესაუბრებოდა მორიგებით საქმის დასრულების შემთხვევაში მიღებულ სარგებელზე. მოსამართლე ყურადღებას ამახვილებდა პირობებზე, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო. საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა მხარეთა შორის მორიგების მიზნით მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განუმარტოს მხარეებს საქმის მორიგებით დასრულების მნიშვნელობა და შესთავაზოს მხარეებს მორიგება, დააკმაყოფილოს მხარეთა შუამდგომლობა მათ შორის მორიგების პირობებზე შეთანხმების მიზნით საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების შესახებ, უფრო მეტიც, თვითონ შესთავაზოს მორიგების პირობები, მიუთითოს მხარეებს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე. ამდენად, მოსამართლის განმარტებები, მიმართული როგორც მოსარჩელე ისე მოპასუხე მხარისადმი, განხილულ უნდა იქნეს ისეთ შემთხვევად, როდესაც მოსამართლე ცდილობს მხარეებს შორის მორიგების მიღწევას.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და სხვა) შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლის მხრიდან მისი აზრის დაფიქსირება საქმის შესაძლო შედეგის მიმართ გამართლებულია, თუ იგი ემსახურება მხარეთა მორიგებას. კონკრეტული სხდომის ვიდეო

ჩანაწერის დეტალურად გაცნობის შედეგად, მარტივი აღსაქმელია, რომ მოსამართლე -- -- მიმართვა მხარეთათვის ემსახურებოდა მხოლოდ მათ მორიგებას, ამასთან მისი მხრიდან -- -- წარმომადგენელთა მიმართ არაკორექტული ან არაეთიკური მიმართვის ფაქტი ან უხეში დამოკიდებულება (აგრესია) არ გამოვლენილა.

ამდენად, მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური

სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №63/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი